

၉၈၈၅၅

მერი კოპინსი ბრუნდება



პ. ლ. ცხივერიძე

მედიკალიზაციის
ინფორმაცია



პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი ბრუნდება

P. L. Travers
MARY POPPINS COMES BACK

ინგლისურიდან თარგმნა ლელა დუმბაძემ
ვარსკვლავით აღნიშნული ლექსები თარგმნა დავით ახალაძემ

ილუსტრატორი მერი შუპარდი

© 1935 by P. L. Travers
© renewed 1963 by P. L. Travers
All rights reserved.

ნიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-696-4

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

სახსომრად პიპს

სარჩევი

I ფრანი	11
II მის ენდრიუს ტოროლა	44
III მძიმე ოთხშაბათი	81
IV ყირამალა	118
V კიდევ ერთი	154
VI რობერტსონ ეის ამბავი	180
VII გარეთ გატარებული საღამო	214
VIII ბუმტებიცაა და ბუმტებიც	257
IX ნელი-რუბინა	285
X კარუსელი	323

ფრანი

ნ სეთი დილა იყო, ყველაფერი კოპნია, კაშკაშა და ბრდღვიალა რომ გეჩვენება, თითქოს სამყარო ერთ ღამეში დაანკრიალესო.

როგორც კი ფანჯრებზე სქელი ფარდები გადასწიეს, ალუბლების ქუჩაზე სახლები აციმციმდნენ. მზით გაჩახჩახებულ ქუჩას ალუბლის ხის ტოტების წვრილი ჩრდილები ეფინებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ მენაყინის ურიკის ზანზალაკი თუ დაინკარუნებდა ხოლმე.

გამაჩერე და იყიდე!

ასე ეწერა ურიკის წინა მხარეს მიკრულ აბრას. ცოტა ხანში ალუბლების ქუჩის კუთხეში მეეზოვე გამოჩნდა გრძელტარიანი ცოცხით და შავად გათხუპნილი ხელი გაიწვდინა.

მენაყინემ ურიკა ნკარუნ-ნკარუნით გააგორა მისკენ.

– ერთი ერთპენიანი ნაყინი, – უთხრა მეეზოვემ, გაფშეკილი ცოცხის ტარს ჩამოეყრდნო და ნაყინს ენის წვერი აუსვა. ჭამა რომ დაამთავრა, ვაფლის ჭიქა ფრთხილად შეახვია ცხვირსახოცში და ჯიბეში ჩაიდო.

– შენ რა, ჭიქებს არ ჭამ? – ჰკითხა ნაყინის გამყიდველმა, რომელიც ძალიან გააკვირვა მისმა საქციელმა.

– არა, ვაგროვებ! – მიუგო მეეზოვემ. ცოცხი აიღო და ადმირალ ბუმის ერთადერთი ჭიშკრისკენ გასწია. ადმირალის სახლს ხომ მეფუნთუშის, ყასბისა და მერძევისთვის ცალკე ჭიშკარი არ ჰქონდა.

მენაყინემ ურიკა გააგორა და კვლავ ალუბლების ქუჩას გაუყვა. ხის ტოტების წვრილი ჩრდილები ურიკაზე აცეკვდნენ.

– ასეთი წყნარი ეს ქუჩა არასოდეს მინახავს! – ჩაილულლულა მან და ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე – მარცხნივ, იქნებ სადმე მუშტარს მოვკრა თვალიო.

სწორედ იმნამს ნომერი ჩვიდმეტი სახლიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა. მენაყინემ, მყიდველის მოლოდინში, ურიკა მაშინვე იქით გააგორა.

– ამას ვერ ავიტან! მეტი აღარ შემიძლია, ა-ლარ! – ყვიროდა მისტერ ბენქსი და წინკარში წინ და უკან დააბოტებდა.

– რა ხდება მანდ? – გაისმა აღელვებული მისიზ ბენქსის ხმა. ცოტაც და ის სასადილო ოთახიდან გამოვარდა, – გამაგებინე, რას დაათრევ ფეხით წინ და უკან?

მისტერ ბენქსმა უეცრად ფეხი რალაც შავს გაჰკრა, ის რალაც აფრინდა და შუა კიბეზე დაენარცხა.

– ჩემი ქუდი! – გამოსცრა კბილებში, – ჩემი საუკეთესო ქუდი!

მერე კიბეზე აირბინა და ქუდი ფეხით ისევ ქვემოთ მოისროლა. ქუდმა ფართო რკალი მოხაზა და პირდაპირ მისიზ ბენქსის ფეხებთან დაეცა.

– რა იყო, რა სჭირს შენს ქუდს? – იკითხა შეშფოთებულიმა მისიზ ბენქსმა, გულში კი გაიფიქრა, ნეტა ამ კაცს ხომ არ სჭირს რამეო.

– შეხედე და ნახავ! – შეჰყვირა მისტერ ბენქსმა.

აცახცახებული ქალი დაიხარა და ქუდი აიღო. ის დიდი, ნებოვანი, პრიალა ლაქებით იყო დაფარული, თან უცნაური სუნიც უდიოდა.

– მგონი, ფეხსაცმლის საცხის სუნი აქვს, – თქვა მისიზ ბენქსმა.

– სწორედ ფეხსაცმლის საცხია, – შეუბღვირა ქმარმა. – რობერტსონ ეიმ ჩემი ქუდი ფეხსაცმლის ჯაგრისით განმინდა, ანუ, შეიძლება ითქვას, გააპრიალა!

შეშინებულმა ქალმა პირი დაალო.

– ვერ გამიგია, რა დაემართა ამ სახლს, – განაგრძო მისტერ ბენქსმა, – ყველაფერი თავდაყირა დგას, თანაც უკვე რამდენი ხანია! წვერის გასაპარსი წყალი ყოველთვის ზედმეტად ცხელია, საუზმისას ყავა – მეტისმეტად ცივი. ახლა კიდევ ეს – აი, ბატონო!

მისიზ ბენქსს ქუდი ხელიდან გამოსტაცა და ჩანთას დასწვდა.

– მივდივარ! – განაცხადა მან. – დარწმუნებული არა ვარ, რომ ოდესმე დავბრუნდები. ალბათ, გემზე ავალ და ხანგრძლივ მოგზაურობას წამოვიწყებ.

შემდეგ მისტერ ბენქსმა ქუდი ბრაზიანად ჩამოიმხო თავზე, კარი გაიჯახუნა და ჭიშკარში ისე გავარდა, რომ იქვე მდგარი მენაყინე გადააყირავა. ის კი მანამდე ამ ალიაქოთს დიდი ინტერესით უგდებდა ყურს.

– თქვენი ბრალია! – შეუღრინა მისტერ ბენქსმა, – რა უფლებით დგახართ აქ!

ის ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზას გაუდგა. ქუდი ბრჭყვიალა სამკაულივით ულაპლაპებდა მზის შუქზე.

მენაყინე ფრთხილად წამოდგა და, როცა დარწმუნდა, რომ ყველა ძვალი მთელი ჰქონდა, ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდა, თან მოზრდილი ნაყინით გაუმასპინძლდა საკუთარ თავს...

– ღმერთო ჩემო! – შესძახა მისიზ ბენქსმა, როცა მისმა ქმარმა ჭიშკარი გაიჯახუნა, – სრული სიმართლეა! მართლაც ყველაფერი თავდაყირაა ამ სახლში! მას შემდეგ, რაც მერი პოპინსმა გაუფრთხილებლად მიგვატოვა, ყველაფერი აირია!

ქალი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შიგ ჩარგო და აქვითინდა. თან იმაზე ფიქრობდა, რაც მერი პოპინსის მოულოდნელი და უცნაური გაუჩინარების შემდეგ შეემთხვათ.



– დაჰკრა ფეხი და წავიდა! რა საშინელებაა! – სლუკუნებდა მისიზ ბენქსი.

მერი პოპინსის წასვლიდან სულ ცოტა ხანში ძიდა გრინი ჩამოვიდა, თუმცა კვირის ბოლოს უკანვე გაბრუნდა, რადგან მაიკლმა შეაფურთხა. მას ძიდა ბრაუნი მოჰყვა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სასეირნოდ წავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. სულ ცოტა ხნის წინ კი აღმოაჩინეს, რომ მასთან ერთად ვერცხლის კოვზებიც გაუჩინარებულიყო.

ძიდა ბრაუნის შემდეგ მის ქიგლი მობრძანდა. აი, ის კი თავად დაითხოვეს, რადგან ყოველ დილით სამ-სამი საათი უკრავდა გამებს ფორტეპიანოზე. არადა, მისტერ ბენქსი მუსიკას ვერ იტანდა.

– მერე კიდევ, – მოთქმით შესჩიოდა მისიზ ბენქსი ცხვირსახოცს, – ჯეინს რომ ის საშინელი წითელა შეეყარა და სააბაზანოში წყლის გამაცხელებელი რომ გასკდა და ალუბლის ხეები რომ განადგურდა იმ ყინვაში და...

– უკაცრავად, ქ-ქ-ქალ-ბა-ტონო, თუ შეიძლება...

მან თავი ასწია. მისიზ ბრილი, მათი მზარეული, წამოსდგომოდა თავს.

– სამზარეულოს საკვამურს ცეცხლი უკიდია! – უთხრა შეშფოთებულმა მისიზ ბრილმა.

– ღმერთო ჩემო, ნუთუ ჩემს უბედურებებს ბოლო არ მოელება? – აღმოხდა მისიზ ბენქსს, – რობერტსონ ეის უთხარით, ახლავე ჩააქროს. სად არის?

– სძინავს, მემ. დიახ, ცოცხების შესანახ კარადაში სძინავს. ხომ იცით, მაგ ბიჭს თუ ჩაეძინა, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც ვერაფერი გააღვიძებს, ვერც მიწისძვრა და ვერც ათასი ტამტამი, – თქვა მზარეულმა, სამზარეულოსკენ მიმავალ მისიზ ბენქსს კიბეზე რომ მისდევდა.

ორივემ ერთად როგორღაც მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა. თუმცა უსიამოვნებები ამით არ დამთავრებულა.

ნაშუადღევს, როცა მისიზ ბენქსი ჯერ კიდევ სადილს შეექცეოდა, ზედა სართულიდან საშინელი ქახანისა და მსხვრევის ხმა მოისმა, მერე კი რალაცამ ბრაგვანი მოაღინა.

– ახლა რალა ხდება? – შესძახა მან და ზედა სართულისკენ გაიქცა.

– ვაი, ფეხი, ფეხი! – მოთქვამდა ელენი, მოახლე.

კიბეზე ჩამომჯდარიყო და ხმამაღლა კვნესოდა, ირგვლივ კი ფაიფურის ქურჭლის ნამსხვრევები იყო მიმობნეული.

– ფეხზე რა დაგემართა? – მკაცრად ჰკითხა მისიზ ბენქსმა.

– მოვიტეხე! ფეხი მოვიტეხე! – ნალვლიანად უპასუხა ელენმა და კიბის რიკულებს მიეყრდნო.

– რა სისულელეა! უბრალოდ, ფეხი იღრძე, ეგაა და ეგ! მოახლე კვნესას განაგრძობდა.

– ფეხი მოვიტეხე! რალა მეშველება ახლა? – მოთქვამდა და მოთქვამდა გაუჩერებლად.

სწორედ იმნამს საბავშვო ოთახიდან ტყუპების ყურისწამლები წივილი მოისმა: ვერაფრით ვერ გაეყოთ ლურჯი რეზინის იხვი. ამას ჯეინისა და მაიკლის ხმებიც დაემატა – კედელზე ხატავდნენ და იმაზე დავობდნენ, მწვანე ცხენს წითელი კუდი უნდა ჰქონოდა თუ იასამნისფერი. ამ ღრიანცელში მოახლის ოხვრა-კვნესა დოლის ბაგაბუგით გაისმოდა:

– ფეხი მოვიტეხე! რალა ვენა ახლა?

– ეს უკვე მეტისმეტია! – თქვა მისიზ ბენქსმა, ზედა სართულისკენ რომ მიქროდა, – მოთმინების ფიალა ამევსო!

ელენი სანოლზე დააწვინა და კოჭზე ცივი საფენი შემოახვია. შემდეგ ისევ ზევით, საბავშვო ოთახისკენ გაქანდა. ჯეინი და მაიკლი იმავე წამს მისცვივდნენ.

– ნითელი კუდი უნდა ჰქონდეს, არა? – ჰკითხა მაიკლმა.

– ოო, დედა! რა სისულელეს ამბობს! აბა, როგორ შეიძლება, ცხენს ნითელი კუდი ჰქონდეს?

– რაო? აბა, ვის გაუგონია, ცხენს იასამნისფერი კუდი ჰქონდეს?

– ეგ ჩემი იხვია! – დაიწვილა ჯონმა და სათამაშო ხელიდან გამოსტაცა დას.

– ჩემია! ჩემია! ჩემია! – აყვირდა ბარბარა და ძმას იხვი წაართვა.



– ბავშვებო! ბავშვებო! – ხელებს იფშვნეტდა სასონარკვეთილი მისიზ ბენქსი, – ახლავე გაჩუმდით, თორემ ნამდვილად შევიშლები!

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა და ყველანი დედას მიაჩერდნენ. ნუთუ მართლა შეიშლება? ამან ყველა დააინტერესა. და თუ შეიშლება, ნეტა როგორი იქნება?

– აბა, ახლავე გონს მოეგეთ! – თქვა მისიზ ბენქსმა, – ასეთ ქცევას ვერ მოვითმენ! სანყალმა ელენმა ფეხი იტკინა და ვინმემ უნდა მოუაროს. ჩემ მეტი ვინ მიხედავს? ჰოდა, ახლა ყველანი პარკში ნახვალთ და ჩაის სმის დრომდე იქ იქნებით! ჯეინ, მაიკლ, პატარებს უნდა მოუაროთ. ჯონ, შენ კი ეგ იხვი ახლა ბარბარას მიეცი, სამაგიეროდ, ძილის დროს შენი იქნება. მაიკლ, შეგიძლია ახალი ფრანი წაიღო. აბა, ქუდები დაიხურეთ! სწრაფად!

– მაგრამ მე ჩემი ცხენის დამთავრება მინდა! – აჯიჯღინდა მაიკლი.

– პარკში რატომ უნდა წავიდეთ? იქ საინტერესო არაფერია, რა უნდა ვაკეთოთ? – თქვა ჯეინმა.

– ძალიან მჭირდება სიმშვიდე, – აუხსნა მისიზ ბენქსმა. – თუ ახლა პარკში ნახვალთ და კარგად მოიქცევით, ჩაისთან ქოქოსიან ნამცხვრებს მიირთმევთ! – და ვიდრე ბავშვები ხმის ამოლებას მოასწრებდნენ, ოთხივეს ქუდი დაახურა და კიბეზე ჩქარ-ჩქარა ჩაიყვანა.

– ქუჩაზე გადასვლისას ყურადღებით იყავით – ორივე მხარეს გაიხედეთ! – გასძახა მათ, როდესაც ეზოდან გა-

დიოდნენ: ჯეინი ტყუპების ეტლს მიაგორებდა, მაიკლს კი თავისი ფრანი მიჰქონდა.

ჭიშკარში რომ გავიდნენ, ჯერ მარჯვნივ გაიხედეს. გზაზე არაფერი მოდიოდა.

მერე მარცხნივ გაიხედეს. იქაც არავინ იყო, ნაყინის გამყიდველის გარდა, ქუჩის ბოლოს ზანზალაკს რომ ანკარუნებდა.

ჯეინმა ჩქარი ნაბიჯით გადაკვეთა ქუჩა. მაიკლი ფეხათრევით მიჰყვებოდა უკან.

– ვერ ვიტან ასეთ ცხოვრებას, – უთხრა ბიჭმა თავის ფრანს, – ყოველთვის ყველაფერი უკუღმა უნდა დატრიალდეს.

ჯეინმა ეტლი ტბასთან მიიყვანა.

– აბა, მომეცით ეგ თქვენი იხვი! – უთხრა ტყუპებს.

ჯონმა და ბარბარამ დაინივლეს და ორივემ თავისკენ მოქაჩა სათამაშო. ჯეინმა, როგორღაც, ორივეს გაამღევიანა თითები.

– უყურეთ! – თქვა მან და იხვი ტბაში მოისროლა. – უყურეთ, ჩემო საყვარლებო, თქვენი იხვი ინდოეთში მიემგზავრება!

იხვი ნყალზე ატივტივდა. ტყუპები მიაშტერდნენ და ღრიალი მორთეს. ჯეინმა ტბასთან მიიღბინა, სათამაშოს ხელი დასტაცა, ამოიღო და მერე ისევ ნყალში გადაუძახა.

– ახლა კი საუთ-ჰემპტონში მიცურავს! – თქვა მხიარულად.